

სახვითი ხელოვნება და ჩვენი მუშაკალი მასა

რევოლუციის წლებში ჩვენში, უკვე შექმნეს ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა ახალი კატეგორია. და საინტერესო ის არის, რომ ეს ახალი ელემენტი, — ხალხის ფართო მასიდან არის გამოსული. ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია. თვით რევოლუცია, — უკვე ხელოვნებაა; ე. ი. სინამდვილის დაძლევა, და შემოქმედების გზით ახალი ქვეყნის დადგენა. ჩვეულებრივ ხელოვნებისაგან, იგი განირჩევა მხოლოდ ფორმისა და მასალის თვალსაზრისით. ამ თქმაში პრადოქსისებური არაფერია. ხომ ხშირად ვაპბობთ: X — მოვლენა რევოლუცია არისო მხატვრობაში, ქანდაკებაში თუ პოეზიაში. ე. ი. რაღაც ახალი, მძლავრი, მანამდე უცნობ საზღვრების აღმოჩენი მოვლენა, — რევოლუციას ეტოლება და ეიგივება კიდევ. ის, რომ ხელოვნების დიდი ფაქტი, რევოლუციის ბუნებისაა, ხოლო ამ უკანასკნელს, პირველის სტიქიონი უდევს საფუძვლად. ამავე მიზეზის ძალით, რევოლუციის დროს, ხელოვნება იკარგება, ხოლო რევოლუციის შემდგომ წლებში, მისდამი ინტერესი საგანგებოდ იზრდება. პირველი შეხედვით ეს ორი მოვლენა თითქმის ერთმანეთსა სპობს, მაგრამ თუ ღრმად ჩაუკვირდებით დავინახავთ, რომ რევოლუცია და ხელოვნება, ერთი და იგივე ძირითადი სტიქიონის ორი მხარეა. ერთს — მეორე მოსდევს დაუსრულებლივ: ჩვენ, ამ წერილში, აღძრულ კითხვის თეორიულ განხილვას არ ვაპირებთ. ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ფაქტი, რომ რევოლუციის წლებში ხელოვნებისადმი ინტერესი გააღვივებს, რომ ამ ინტერესში ჩვენი ხალხის ფართო მასაში ამოჰხეთქა და რომ ეს ფაქტი, დიდი ყურადღებისა და მოვლის ღირსია. ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პატარა ამბავი გვინდა მკითხველს მოვაგონოთ: ქართულ მხატვართა საზოგადოებამ, 1924 წელს, მორიგი გამოფენა გამართა განათლების მუშაკთა სახლის დარბაზში. ხალხი მრავლად მიიზიდა ამ გამოფენამ იმის და მიუხედავად, რომ არც ადგილი იყო შესაფერი და არც წარმოდგენილი ექსპონატები — საგანგებო. მრავლად მოდიოდნენ მუშები, ჯარის-კაცები, მოწაფეები. მაგრამ საგულისხმო ის იყო, რომ არაჩვეულებრივი სიყვარულით, ამ გამოფენას მუშები შეხედდნენ. დღეეგაცა და დღეეგაცაზე მოდიოდა, და გვთხოვდა, რომ გამოფენა მუშათა უბანში გადაგვეტანა. ჩვენ დიდი სიამოვნებით დავთანხმდით, და უდიდესი მზრუნველობით, ეს გამოფენა, პლენხანოვის მუშათა კლუბში გადაიტანეს. ერთი თვის განმავლობაში, საგამოფენო დარბაზი საესე იყო პირდაპირ ქარხნებიდან მოსულ ცნობის-მოყვარეებით მხატვართა საზოგადოებამ ეს მოვლენა სხვა-გვარად გამოიყენა: საანკეტო ფურცლები შეადგინა, და ყოველი მხატველი, წასვლის წინ, ამ ანკეტას ავსებდა. უნდა გენახათ, რა სასოებით იწერებოდა ეს ფურცლები, როგორი დაფიქრებით და თავაზიანობით.

ეს ანკეტები დღესაც საზოგადოების არქივში ინახება. შემოძლიან ესთქვა, რომ ასეთი სერიოზოზით დაწერილი ანკეტა მხოლოდ ფსიქოლოგიის ლაბორატორიებში მინახავს. ეს ერთი პატარა მაგალითი იმ დიდი ინტერესის საჩვენებლად მოვიყვანეთ, რომელიც მშრომელთა წრეში არის ხელოვნებისადმი გაღვივებული, და ყოველად შეუძლებელია, რომ ამ მოვლენას შესაფერი პირობები არ შეუქმნათ.

ამ ბუნებრივად ესთეტიური აღზრდის საკითხი იმის, და სწორედ ამას უნდა მიეჭკეს უდიდესი ყურადღება. ამ მსოფი კი, ჩვენში, ბევრი რამ არის გასაყვირებელი. თანაც თუ მუშათა წრეებში, ინტე-

ლიგენტთა შორისაც ძალიან ცოტა არის ხელოვნების გამკე და გაწერაწილ გემოვნების შჭონე. მიზეზთა კვლევას არ შეუდგებით, მხოლოდ დღეს ისეთი პირობები უნდა გამოიძებნოს, რომ არსებული ნაკლი შეივსოს, და ხელოვნება, ეს კაცობრიობის უდიდესი მამოძრავებელი და ამშაღლებელი ძალა, ჩვენი ხალხის ასამაღლებლადაც მოხმარებულ იქნეს. ამ შემთხვევაში, სახვითი ხელოვნებას ვგულისხმობთ, როგორც ყველაზე მიუსაფარ და მით უფრო საზრუნავ დარგსა.

ღიახ, ამ მხრივ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საბჭოთა საქართველოშიც ინტერესმა გაიღვიდა. ამ ცნობის-მოყვარეობის დასაქმყოფილებლად საჭიროა ჩვენ გვქონდეს ჩვენებული ლუკრი, ლიტქსემბურგი, სადაც თავმოყრილი უნდა იყვეს ჩვენი და უცხოელ შემომქმედთა ნაწარმოებნი. მართალია, არსებობს ე. წ. ეროვნული გაღერეა, მაგრამ იგი ძალიან პატარაა იმ დიდი ინტერესის დასაქმყოფილებლად, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს.

ამ გაღერეაში ბევრი რამ ძვირფასია, მაგრამ უფრო ბევრი მას არ გააჩნია. რასაკვირველია, დღეს ჩვენ დიდი თანხების გაღება არ შეგვიძლიან ძვირფას ექსპონატთა შესაძენად. მაგრამ არის სხვა გზები, რომ ხსენებულმა გაღერეამ უფრო მნიშვნელოვანი სახე მიიღოს, ოღონდ საამისოდ საჭიროა, რომ სახვითი ხელოვნების საკითხი ხელოვნების სხვა დარგთა შორის უფრო წინა რიგებზე დადგეს.

შემდეგ: შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ეროვნული გაღერეა წარსულის თავშესაფარია. ორი — სამი თანამედროვე მხატვრის თითო — ოროლა ნამუშავარი, რომელთაც ერთი მკირე კუთხე აქვთ მიჩენილი, თანამედროვე ჩვენი მხატვრობის სიბეჩავის მაჩვენებელი უფროა, ვიდრე მისი ნამდვილი ამსახველი. იქ შემსვლელი, ალბად გაოცებული მხრებს და აიჩეჩავს, და თავისთვის იტყვის: ძალიან ღარიბები ეყოფილვართო, მაგრამ ნამდვილად განა ასე გვაქვს საქმე? თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 ტე საუკუნის და ჩვენი ხანის მხატვართა საუკეთესო ნაწარმოები იმდენია, რომ მთელი ის სივრცე არც კი ეყოფა, რაც ეროვნულ გაღერეას უჭირავთ. მაშასადამე თანამედროვე მხატვრობის თავსესაფარის დაუდებელ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული. თორემ უამისობა, სახვითი ხელოვნებას ისეთსავე მდგომარეობაში აყენებს, როგორშიაც მწერლობა იქნებოდა, რომ საქართველოში სტამბა არ ყოფილიყო. არ ვაჭარბებთ, სახვითი ხელოვნებისთვის გაღერეა, — სტამბა და წიგნია. სამხატვრო გაღერეა, უდიდესი შემაკავშირებელი და აღზრდელითი მნიშვნელობის დაწესებულებაა. ა. ლუნაჩარსკიმ, 1924 წ. ტრეტიაკოვის ვარდაცვალეებიდან 25 წლის თავზე, სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ აქ, ე. ი. ტრეტიაკოვის გაღერეაში) მუშაის კი არ ეინახავთ, ანდა მზეთ-უნახავის ცხედარს, არამედ ნამდვილ საუნჯეს რომელიც ოქროს მარცვლებით სათითაოდ არის მოგროვებული, და რომლებმაც ნაყოფი უნდა მოგვეცეს მასების გულსა და გონებაში. ჩვენ აქ მხოლოდ წარსულს კი არ უფრთხილდებით, არამედ მომავალსაცო“. და განა ტრეტიაკოვის გაღერეამ, რუსეთის საზოგადოებას პატარა სამსახური გაუწია? უდიდესი ესთეტიურ მხარეს თავი დავანებოთ და სოციალ-პოლიტიკური მხრივ ავილოთ. განა ცოტა რამ ინახებოდა ამ გაღერეაში, რასაც პოლიცია ძალითა პხსნიდა, როგორც „კრამოლის“ მიუხედავს? განა ცოტა სურათმა შეისრულა თავისი საშოქალაქო ვალი? აქ იყო რეპინის „ივანე მრისხანე“, „დატლ საღება“, „სააჯელის წინ“ და სხვ... პეროვის „ლი-

ტანია", გეს და სხვათა სურათები; რომლებმაც თვალი აუხილეს საზოგადოებას და არსებულის წინააღმდეგ აამხედრეს. მიტომ არის, რომ დღეს, მთავრობაც და ხალხიც საგანგებოდ უფროთხილდება ამ ინსტიტუტს და მის დამაარსებელს, რომელსაც პროლეტარიატთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა, სიკვდილის შემდეგ, 25 წლის თავზედაც კი, დიდის მოწიწებით და პატივით იხსენიებს. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი ტრადიცია არა გვაქვს. ჩვენი ეროვნული გალერეია, რევოლიუციის პირველ წლებში არის დაარსებული მანამდე კი, იმ შენობაში, ჩვენი ქვეყნისა და მთელი კავკასიონის შეგინების სურათები ეკიდა. წართმევისა და წაგლეჯის ტროფეებით იყოსავსე და გარს შემორტყმული. ხოლო უდიდესი ცინიზმი ის იყო, რომ ამ მეფეთა და გენერალების სურათების აკლდამას, „დიდების ტაძარი“ ერქვა სახელად. რევოლიუციამ წააღწია ეს ტაძარი. როგორც იმ „დიდებს“ შეეფერებოდა (დიდება ამ „ტაძარს“ არ გააჩნდა) და იქ, დღეს, ჩვენი ეროვნული გალერეია არის მოთავსებული. მაგრამ ვანა ბევრმა იცის ამ დაწესებულების არსებობა? იგი ჯერ ჩვენი შეგინების ორგანიულ ნაწილად არ გადაქცეულა. იქ კიდევ მტკიცედ არ შესულა ჩვენი საზოგადოების მამობელი თვალი და გონება. ამის მიზეზი,—ჩვენი სამხატვრო ცხოვრების უინტენსივობა არის. მართალია, რევოლიუციის პირველ პერიოდში, როდესაც ქვეყანა სდუღდა და გადმოდირდა, საამისოდ არავის ეცალა, მაგრამ დღეს, როდესაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება, შეუძლებელია, რომ საგანგებოდ გულის-ყურით არ მოვეკიდნეთ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. პირველი ნაბიჯი კი თანამედროვე მხატვრობის გალერეია უნდა იყოს. გამოსათენი მასალა ბევრია, მაგრამ ბინა არ არის, და ეს ბინა უნდა გამოიძებნოს. ეს არც ისე ძნელია, თორემ კურორტული მდგომარეობა იქნება, რომ მაგ. ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების რეპროდუქციებზე და მონოგრაფიაზე საკმაოდ დიდი თანხა იხარჯებოდეს, და მისი ორიგინალები კი ყუთებში და სარდაფებში ობდებოდეს. უნდა შეიქმნას თანამედროვე მხატვრობის გალერეია, რომ ქართული საზოგადოების წინაშე წარსდგენს ფიროსმანიშვილი, ალ. პრველიშვილი, გაბაშვილი, ბერიძე, გველესიანი და შრავალი სხვანი, რომელთაც მთელი სიცოცხლე ამ საქმისთვის შეუწირავთ, და ჩვენდა სასიარცხოდ, ბევრმა ინტელიგენტმაც კი არ იცის მათი გვარი, და ნაწარმოები ხომ არა და არ უნახავთ.

შემდეგ: ჩვენში, მხოლოდ თუ გაუგონიათ ამა თუ იმ უცხო მიმდინარეობის სახელი, როგორც მაგ. ექსპრესიონიზმი, სიმულტანიზმი, აქტივიზმი, პურრიზმი, და სხ... თორემ ნახვით, ერთ—ორს თუ უნახავს. საჭირო კი არის, რომ ვაჩვენოთ ხალხს შესაფერი ნიმუშები, რომ დაახლოვებით მაინც გაერკვეს იმ ქვეყანაში, რომელსაც თანამედროვე მხატვ-

რობა ჰქვია სახელად. ყველაფერი ეს, შეძლების და გვარად უნდა წარმოდგენილ იქნეს თანამედროვე მხატვრობის გალერეიაში.

ჩვენი ოცნება უფრო შორს მიდის: რომ შეიქმნეს ჩვენში პარიზის „Musée de Ciuny-ს“ მსგავსი მუზეუმი, სადაც თავს მოუყრიოთ ძველ, საშუალო საუკ. და ახალ ეპოქის მხატვრულ ავეჯეულობას, კურტელს, ტანისამოსს, ქსოვილებს, მინანქარს, ოქრო - ნაკედობას, და სხ... გამოყენებითი დარგების ნიმუშებს, რომ ჩვენი გონების თვალ - წინ მუდამ ცოცხლად იდგეს განვლილი საუკუნეების მხატვრული აელა-დიდება. ეს „ოცნებაც“ სულ ადვილი განსახორციელებელია, რადგან მასალა არის, მხოლოდ არ არის ბინა, და ეს უკანასკნელიც იქნება, რომ დიდი მონდომება იყვეს.

შეიძლება მკითხველს ეჩვენოს, რომ საქმეს ზედმეტად ვამარტივებთ და ძნელად გასაკეთებელს ადვილად წარმოვიდგენთ, მაგრამ ეს არ იქნება ძართალი. მაგალითისთვის საბჭოთა რუსეთი ავილოთ, სადაც, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ლენინგრადში, სამხატვრო აკადემიამ ქანდაკების მნიშვნელოვანი მუზეუმი მოაწყო. ჩვენც შეგვიძლიან იმით სარგებლობა. იქ, კლასიკურ ნაწარმოებთა კოპიოების ფორმები აქვთ, ჩამოსხმა სულ ადვილი საქმეა, და რომ მონდომება იყვეს, რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენს ეროვნულ გალერეიას ორმოცდაათამდე ნიმუში ექნებოდა. ეს კი, ჩვენთვის უდიდესი საქმე იქნებოდა. ხოლო ყველაფერ ზემოთქმული, ჩვენი მასის გათვითცნობიერებისა და ესთეტიურად ამალლებისათვის არის საჭირო. ისა ჰნახავს ლამაზ ფორმებს, ფერებს, იდეებს, და გაიგებს ქვეყანას, მღელვარებითა და გზნებით. მხატვრობას ეს თილისმა აქვს, რომელიც დიდად მოქმედობს არამც თუ ჩვეულებრივ მოქალაქეზე, არამედ დიდ შემოქმედებზედაც კი. ბოდლერის გადმოცემით, ბალზაკმა, ერთი სურათის წინ, უნებურად ხმა მალლა დაიძახა:—„რა მშვენიერია! მაგრამ რას აკეთებენ ამ ქობში? რაზე ფიქრობენ? რას შეუწყუბებია ესენი? ნეტა მოსავალი თუ კარგი ჰქონდათ? ამათ ალბად გადასახადის ნარჩენები აქვთ შესატანი“—ო... ვანა უარესად არ აღელდება ქართველი გლეხი თუ მუშა, როდესაც ჰნახავს მაგალ. მრევლიშვილის „დაბალ ლობეს“, ან მის მსგავს სხვა ნაწარმოებთ? ამას მტკიცება არ ეჭირება. საჭიროა მხოლოდ საქმის გაკეთება. ამას მოითხოვს ჩვენი სინამდვილე და ჩვენი ხალხის მომავალი.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები, ყურადღებას მიაქცივენ ამ გამორჩენილ საკითხს, და თანამედროვე მხატვრობის გალერეიას საძირკველი ჩაეყრება. სამხატვრო აკადემიის შემდეგ, ეს იქნება ჩვენი სახვითი ბელოვნების ქვეყნის მორე დიდი საქმე, რომელის ავტორიც იქნება საბჭოთა ხელისუფლება.

ვახტანგ კოტეტიშვილი